№ 177
პარასკევი, 19 აგვისტო 1894

1877—1894

# ივერია

№ 177
პარასკევი, 19 აგვისტო 1894

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

კნეინა **ნინო ფავლენიშვილისა, სოფიო ქაიხოსროს ასული ფავლენიშვილისა, ბარბარე დავითის ასული ხიდირბეგიშვილისა, მაგდან დავითის ასული ტერიევისა** და **თავადი კონსტანტინე ხიდირბეგიშვილი** აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა განსვენებულის თავადის **ივანე დავითის ძის ფავლენიშვილის** ორმოცის შესრულებას, პირველი შვილისას, მეორე მეუღლისას, მესამე და მეოთხე ძმისასა და მეხუთე ცოლის ძმისასა, უმორჩილესადა სთხოვენ პატივი სცენ და მობრძანდნენ 20 აგვისტოს, გორის მაზრის სოფ. ერედვში, წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც შესრულებულ იქმნება სადვთო ლიტურღია და გარდახდილი პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (1—1640—1)

**მმართველობა ამიერ-კავკასიის რკინის გზისა** ამით აცხადებს, რომ 1 სექტემბერს ტფილისის უმთავრესს საწყობში დილის 10 საათზედ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება სხვა-და-სხვა საგნები, სახელდობრ:

| | ფუთი გირ. |
|---|---|
| ფისი მადნისა . . . . . . . . | 132—08 |
| გლიცერინადი . . . . . . . . | 5— 8 |
| მწვანე სინგური ზეთზედ . . . . . . | $9^1/_4$ |
| კარდონი შველციისა 150 ნაჭერი . . . . . . | 54—15 |
| ზღვის ბალახი . . . . . . . . | 21—28 |
| ხერხი ხელისა . . . . . . . . | 5440 ცალი |
| ბლანკები სხვა-და-სხვა სერიისა . . . . . | 230— |
| ტელეგრაფის ძველი აპარატები „მორზეს“ სისტემისა . | 15 ც. |
| ცეცხლის საქრობი მანქანა . . . . . . | 2 ც. |
| ფურგუნი . . . . . . . . | 1 ც. |
| მანქანა წყალში ჩამსვლელისთვის . . . . . | 1 ც. |
| ძველი ნიჩბების ნამტვრევები ფოლადისა . . . . | 150— |
| ბანის სახურავი რკინა . . . . . . | 300— |
| ტელეგრაფის ლენტები . . . . . . | 696— |
| ძველი ქაღალდი . . . . . . . | 240— |
| ფხვნილი ქვის ნახშირი (კოკსი) . . . . . | 165—21 |
| დაწუნებული ფიცრები . . . . . . | 72 ც. |
| წყლის საზომი შუშები . . . . . . | 1319 ც. |
| ფლასები . . . . . . . . | 32 |

მოსართავი საგნები, მაგ.: ბაირაღები, გერბები და სხვ. ძველი ნივთები: მუშამბა, რულეტკის თასმები, თოკები, ბაირაღების ნაჭრები, რეზინი, მატყლი, ტყავი, მებილი და სხვ. (3—1)

## დეპეშა

17 აგვისტო

**პეტერბურგი.** ფინანსთა სამინისტრო ამ მოკლე ხანში განიხილავს ტარიფის საქმეს, რათა შესცვალოს ძველი დებულებანი თანხმად რკინის გზით საქონლის გადატან-გადმოტანის ეხლანდელ წესისა.

**ლონდონი.** ხმა დადის, რომ ჩინეთის ჯარმა კორეს ჯარის დახმარებით, სულ 5,000 კაცმა იაპონიის ჯარი განდევნა კბისენგთან, სეულისაგან 40 მილზედ ჩრდილოეთისკენ და დიდადაც დაზიანა. ჩინელები კორელების დახმარებით წინ მიდიან; ამბობენ, ჩინეთის ფლოტი 12 აგვისტოს ვეი-ჰაი-ვეიში მივიდაო. იაპონიის ფლოტი ამ ჟამად პეჩელიის ყურეშია. ამბობენ, ვითომ იაპონელებმა ტაკუსთან ჯარი უნდა გადმოსხან და პეკინისკენ გაჰგზავნონ; იმასაც ამბობენ, იაპონელებმა 28 სამხედრო გემი გაჰგზავნეს მდინარე იამუზე, რომელიც ჩინეთსა და კორეს საზღვრავს და იქ გადმოსხეს 20,000 კაცი, რათა ჩინეთს კორესთან ხმელეთის გზა მოუჭრან.

## ახალი ამბავი

*** ქალაქის მოურავი სთხოვს ტფილისის გუბერნატორს, ნება დართოს საგანგებო ქალაქის ხმოსანთა საბჭოს სხდომის დანიშვნისა განსახილველად იმისა, თუ როგორ უნდა მიიღოს ქალაქმა სახელმწიფო ქონებათა მინისტრი და რა სათხოვარი ექნება მინისტრთან ქალაქს.

*** სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ტფილისში მოელიან ამ თვის 28 ანუ 29-ს.

*** ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. შერვაშიძე ტფილისში დაბრუნდა სოფ. ბეთანიიდგან.

*** დღეს პიატიგორსკიდგან, როგორც დეპეშით იუწყებიან, გაემგზავრება ტფილისს მის ბრწყინვალების ბუხარის ემირის ამალა. ემირი იალტაში არ წავა და აპირობს პირდაპირ ტფილისში ჩამოსვლას და აქედგან გაემგზავრება ბორჯომს და აბასთუმანს.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ამ დღეებში კრება აქვს დანიშნული, რადგანაც ამ თვის ბოლოს ტფილისში მინისტრს ერმოლოვს მოელიან.

*** ოთხშაბათს ამ თვის 17-ს რკინის გზის სადგურზე პოლიციის ბოქაულმა ზაზულევიჩმა შეიპყრო ავაზაკი ჩიჩიხჩიანცი, რომელმაც გაძარცვა ივნისში ელისაბედ თულაევისა. ჩიჩიხჩიანცის სახლი რომ გაჩხრიკეს, მრავალი ძვირფასი თვლები, ოქროსი და ვერცხლის ნივთები იპოვნეს თულაევისა. ზოგიერთი ნივთი ავაზაკს ჩექმებში ჰქონდა დამალული. ავაზაკს თუმცა სწადდა რევოლვერის ხმარება, მაგრამ ველარ მოასწრო. ჩიჩიხჩიანცი სასამართლოს გამომძიებელმა ციხეში დაამწყვდია.

*** იუსტიციის სამინისტროს განზრახვა აქვს დაადგინოს, რომ სამოსამართლოს უწყების მოხელენი მხოლოდ 65 წლამდე იყვნენ სამსახურში, თუმცა სამოსამართლო პალატებს უფლება ექმნებათ კენჭის ყრით აირჩიონ ყველა 65 წლის წევრი კიდევ ხუთის წლის ვადით. სამინისტროს განზრახვა აქვს აგრეთვე დაადგინოს, რომ სამოსამართლო უწყებაში მოსამსახურეთ ის დროც ჩაერიცხოთ, როცა კანდიდატებად იყვნენ.

*** ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს განკარგულება მოახდინოს, რომ, რკინის გზის სადგურებს გარდა, ბილეთები იყიდებოდეს ქალაქის სადგურებსა და საუკეთესო სასტუმროებში.

*** სახელმწიფო ქონებათა და მეურნეობის სამინისტრო არდგენს დაწვრილებულ რუკას მთელის რუსეთის იმპერიის ტყეებისას.

*** ს. მეჯვრის-ხევი. ამ ზაფხულის განმავალობაში აქაური სცენის მოყვარეთაგან, საქველ-მოქმედო აზრით, ორი წარმოდგენა გაიმართა. პირველ წარმოდგენიდგან, ხარჯის გარდა, 53 მანეთი დარჩა; მეორესაგან—48 მ. და 75 კ.; ეს ფული დანიშნულებისამებრ გარდაეცა. სცენის მოყვარენი დიდად კმაყოფილნი და მადლობელნი არიან საზოგადოების თანაგრძნობისა.

*** ანაკლია (სამეგრელო) ამ დღეებში გათენებისას ჩვენის დაბიდგან გაემგზავრნენ საბანაოდ ხუთი კაცი: ორი მათგანი ქალი და სამი ვაჟი. მივიდნენ სადგურთან, გაალვიძეს მენავე და გავიდნენ ენგურს გაღმა, და დაიწყეს ბანაობა. მათ საუბედუროდ იმისთანა ადგილს შესულან, სადაც ჯერ ბანაობა არავის გაუბედია. ერთი მათგანი გ. თოფურია. ღრმა ადგილს ჩავარდნილა და დამრჩვალა. გვამი მესამე დღეს ზღვამ გამორიყა. საწყალს ერთი მცირე წლოვანი ძმა დარჩა.

*** ერკეთი (გურია) აქ წითელა და ხუნაგი კარგი ხანია მძვინვარებს და დიდ ზიანსაც გვაძლევს, მაგრამ შველა არსაიდგან სჩანს. მამასახლისი მკითხავთან წასულა, არ ვიცით თუ რა ამბავს მოიტანს, მაგრამ ეს კი ცხადია, მამასახლისმაც უნდა იცოდეს, რომ ამ შემთხვევაში ექიმია საჭირო და არა მკითხავი.

*** 17 ამ თვისას ოლგის ქუჩაზედ ხუთის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი იპოვნეს და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## ფელეტონი

### პირდაპირ სჯობია

(ამბავი სოფლის ცხოვრებიდგან)

კვირა დილის ცხრა საათი იქნებოდა. ს. ა—რის ნახევარზედ მეტს მცხოვრებლებს მოეყარათ თავი სასოფლო კანცელარიასთან და ყაყანებდნენ. ერთი მეორეს ემდურებოდა, შენს საქონელს ჩემი ჯეჯილი რად წაახდენინეო, მესამე მეოთხეს უჩიოდა საურმე გზის შეკვრას და სხვანი. ზოგნი-კი ჯოხზედ დაბჯენილნი და თავ-ჩაქინდრულნი უგდებდნენ ყურს სხვების ჩივილს და ყვედრებას. ჭაბუკნი ცოტა მოშორებით მიმდგარიყვნენ და ერთმანეთს სახუმარო ბაასით და ოხუნჯობით ართობდნენ.

ამ დროს შორიდგან გამოჩნდა კანცელარიისკენ მძიმე ნაბიჯით მიმავალი, კოხტად გამოწყობილი, შუა ხნის კაცი, აზნაური ნიკო ორგულაძე, რომელსაც გვერდზედ მოუხტოდა ბრუციანი ტან-დაბალი, ყელზედ ჯაჭვ ჩამოგდებული მამასახლისი.

— აგე, ნიკოც მოდის... წამოიძახა ერთმა ახალგაზდა ბიჭმა. ხალხმა მომავალ ნიკო ორგულაძეს მიაშტერა თვალი.

— აი, დედა, დედა! ვისი ფულებით პარპაშობს; გაგვატყავა რაღა, გაგვატყავა; ჩაიდუდუნა ერთმა წელში მოხრილმა კაცმა.

— ერთი შეხედეთ, იმ მამასახლისს როგორ გოშპარასავით წინ მოუხტის და თან ცალს თვალს უხუჭავს, იოხუნჯა ვითომ ერთმა ახალგაზდამ.

— ჩაიგდო ხელში და როგორც უნდა, ისე ატრიალებს მამასახლისს. აბა რა, მამასახლისს რა ენაღვლება, თუნდა მთელი სოფელი წყალმა წაიღოს, წაიდუდუნა ისევ წელში მოხრილმა კაცმა და, თითქოს უკანასკნელი იმედიც ხელიდგან გამოეცალაო, ხელები გაასავსავა...

— ეჰ, რას ლაპარაკობ, კაცო, მამასახლისმა ამ სოფლისა ისე არა იცისრა, როგორც აი ამან, სთქვა ერთმა გაჭადარავებულმა და თან ფეხი ქვას წაჰკრა...

— ეხლა, ეხლა იდუდუნეთ... სად იყავით, როცა ვირჩევდით, რატო ხმა არ ამოიღეთ. მაგრამ არა, შვილო, ურემი რო გადაბრუნდება, გზაც მაშინ გამოჩნდებაო, ტყუილად-კი არ არის ნათქვამი...

— ეჰ, შენც დაიწყებ ლაპარაკს; კაცო, აქ არ იყავი, „ნაჩალიკმა“ რო ჰკითხა მამასახლისს. „შენ, მამასახლობას, რომ ჰკისრულობო, შეგიძლიან ასრულებაო?“ „შემიძლიანო!“ „კარგი და პატიოსანიო, თუ შეგიძლიანო და თუ რამე უწესოება შეგამჩნიე, იცოდე დაისჯებიო. ი ჩვენი ცოდვით სავსე კნიაზმა ვანომ ხომ კინაღამ თავ-პირი დაგვამტვრია, გინდა თუ არა ეგ უნდა ამოირჩიოთო, მე მსურსო. აბა რა გვექნა, ავდექით და ამოვირჩიეთ და ვინ არის ჩვენი ყურის მგდებელი, ჩვენი პატრონი, რომ ეხლა პასუხს არ მოსთხოვს მაგ ბრუციანს.

ამ ლაპარაკში იყვნენ გართულნი, რომ ნიკო და მამასახლისი მოუახლოვდნენ ხალხს. ყველამ ქუდები მოუხადეს და სალამი უძღვნეს.

— გაგიმარჯოთ! წყნარად მიუგო ნიკომ... მამასახლისი კანცელარიაში შეკიდა. ნიკომ-კი აათვალიერ-დაათვალიერა ხალხი და შემდეგ თვალები დააშტერა გასუქებულს, ჭადარა შერთულს და მკერდ-გადმოყრილს სოსიას.

— სოსი, აბა პატარა ხანს აქ მოდი, დაუქნია ხელი სოსიას.

სოსია იყო ნამამასახლისარი; თავისს მამასახლისობაში მთელი სოფელი აამტუტა; სულ იმასა სცდილობდა, სად ჯიბე გაეტენა, სად ესვა და სად ეჭამა, თითქო პირველი მოვალეობა მამასახლისისა ეს ყოფილიყო. სოფელმა კარგა ხანს უთმინა სოსიას ამ ნაირი ქცევა, მაგრამ რადგანაც სოსიამ თავის ძარცვა-გლეჯვას უმატა და საქმეს-კი შესაფერად არ მოეკიდა, ადგა და უჩივლა მაზრის უფროსთან; მაზრის უფროსმა გამოსცვალა, მაგრამ სოსიას ალაგი იმაზე უარესად სოფლისთვის უსარგებლო კაცმა დაიჭირა. სოსიას ეწყინა ჯაჭვის ჩამორთმევა; ჯავრ-მოსული სოფელს მალ-მალე აყვედრიდა, რაზედ მიჩივლეთო, ბრუციანი ჩემზედ წინ როგორ დააყენეთო და გლეხებიც ზოგი კნიაზ ვანოს აბრალებდნენ იმის გამოცვლას, ზოგიც სოფლის მასწავლებელს. მაგრამ მაინც და მაინ სოსია გულს არ იტეხავდა, კიდევ იმედი ჰქონდა მამასახლისობისა, მალ-მალე შეზარხოშებული ხალხშიაც ამბობდა: „მე მამსახლისობა არ ამცდებაო“. მაგრამ ერთი გარემოება უშლიდა ხელს თითონაც იცოდა და ბევრისაგანაც გაეგონა, მათ შორის აზნაურ ორგულაძესაგანაც, რომ სოსიას მამასახლისობა ჩამოერთო მასწავლებლის შთაგონებით. ეს ჩაინერგა გულში და განიზრახა მასწავლებლის ასე თუ ისე სოფლიდგან გაძევება, მაგრამ არ იცოდა რანაირად მოეხერხებინა ესა. ნიკო ორგულაძემ ეს კარგად იცოდა, რადგანაც მასწავლებელი მასაც ჰლაგმავდა, სოფლელებსაც არიგებდა, საკეთილ-დღეო რჩევას აძლევდა, ერთის სიტყვით, ნიკო ორგულაძეს წინააღმდეგ იქცეოდა და ხელს უშლიდა იმის უსინიდისო ძარცვა-გლეჯას, ამისთვის მასწავლებელი ნიკოს სოსიაზედ მეტად თუ არა, ნაკლებად არ ეჯავრებოდა; ნიკოს ჰსუ-

*** 18 აგვისტოს ტფილისის რკინის გზის ლიანდაგს იქით პოლიციის მოხელემ ოსეფოვმა შეიპყრო სოფ. ლამის-ხევის მცხოვრებელი დავით შიოს ძე ხეთაშვილი, რომელსაც რეუტოვის ქუჩაზე მცხოვრებლის ივანე სარადავასაგან ორი ჩოხა და საგემნაზიო ტანთსაცმელი მოეპარა და მიჰქონდა. სარადავას სახლში იპოვეს ხეთაშვილის მიერ დარჩენილი ხმალი.

*** I6 ამ თვისას ნაშუადღევის 4 საათზე პარალელის ქუჩაზე ოქროპირ ხევსურიანის სახლში ვიღაც შევიდა, გამოიტანა ერთი მოზრდილი ხალიჩა და თავის გზას გაუდგა, თუმცა იქვე ბევრმა დაინახა, რომ ხალიჩა მიჰქონდა, მაგრამ ვერავინ ვერ მიხვდა.

*** ამავე დღეს საღამოს 10 საათზე ავჭალის ქუჩაზე, ინანოვის სახლის მახლობლად გიორგი ფირადოვი მოდიოდა, ვიღაც ორი კაცი წამოეწია, მამობილი უწოდეს, გულიდგან 110 მან. ღირებული ოქროს საათი აჰყალეს და სადღაც მიიმალნენ.

## კორესპონდენცია

**სოფ. მუხრანი.** თითქმის ყოველ დღე შეხვდებით გაზეთებში სოფლებიდგან საჩივარს თავიანთ უბედურებისა და გაჭირვების შესახებ. მხოლოდ ჩვენი დალოცვილი მუხრანი-კი მშვიდად და არხეინად არის, თითქოს არა აკლდეს-რა და არც არა აწუხებდეს-რაო. თუმცა ამ სოფელზედ ბევრი საჩივარი არც ერთს ჩვენის ქვეყნის სოფელს არა აქვს: რა მხრითაც გნებავთ აიღოთ ჩვენი სოფელი, იგი უკან ჩამორჩენილი და უპატრონოა. ავიღოთ მაგალითად, ჯერ თუნდა სოფლის გზები. ამ ხუთის წლის წინად მუხრანელებს ისეთი საძაგელი გზები ჰქონდათ, რომ მისვლა-მოსვლა გასაჭირი იყო. ამის მაგალითად საკმარისია დავასახელო ერთი ამბავი. ერთს საღამოს უეცრად გაისმა ხმა: „გვიშველეთ, ვირჩობითო“. გლეხები გაიქცნენ იქითკენ, საიდგანაც ხმა მოდიოდა და ნახეს, რომ თ. ი. კ. მუხრან-ბატონის მოურავი ჩაფლულა ტალახში შარაბანით და ძაძვრის თავი აღარა აქვს; შეეშველნენ გლეხები, ცხენები ცალკე ამოათრიეს და შარაბანი ცალკე და ამ გვარად გადაარჩინეს ხიფათს. ეს მოხდა შიგ სოფელში. ამ გვარი ამბავი ხშირად ხდებოდა, მაგრამ გზის გაკეთებას-კი არავინ ჰფიქრობდა, სანამ ბ-ნმა გუგუშვილმა მშვენიერი გზები არ გააკეთებინა გლეხებსავე. გაიარა რამდენმამე წელიწადმა, გადაიყვანეს ბ-ნი გუგუშვილი და ეს გზები დღეს ისევ ძველებურს მდგომარეობაში მოდის, მაგრამ ამის შეკეთებისათვის არავინა ჰფიქრობს. შიგ შუაგულ სოფელში საურმე ბოგირი ისეა მინგრეული, რომ ყოველ დღეს აქ რამე უბედურება მოსალოდნელია.

წელს სხვა უბედურებათა შორის, ერთი უბედურებაც ეწვია მუხრანელებს. ეს არის საქონლის ჭირი. ამ შემთხვევაშიაც მუხრანელებმა დიდი სიმშვიდე გამოიჩინეს. ამოდენა ზარალს აძლევს ყველას ეს ჭირი, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ ან ექიმი დაიბარონ, ან სხვა მხრით მოუარონ საქონელს. მოუკვდებათ საქონელი, გაატყავებენ და იქვე ცხვირ წინ დაიგდებენ. ამას წინად ვიღასაც ჭირისაგან ხარი მოჰკდომოდა, გაეტყავებინა და სასწავლებელის გვერდზედ დაეგდო; ეგდო ესე და უშხამავდა გამვლელ-გამომვლელს სუნთქვას. იმისი გადაგდება და ცხვირს წინიდგან მოშორება აზრად არავის მოუვიდოდა, აქ მოსულ კომისიას შემთხვევით რომ არ მიექცია ამაზედ ყურადღება.

იკითხავთ: მუხრანელებს მამასახლისი, ან სხვა პატრონი არა ჰყავს და თუ ჰყავს, რას აკეთებენო?! ყოლით ჰყავთ მამასახლისი და ბევრი სხვა მოხელეებიც, მაგრამ რას აკეთებენ, ის-კი არ ვიცით,. ჩვენ სოფელს პატრონი არა ჰყავს, ჰყავს მამასახლისები და სოფლის მოხელეები. ისა სჯობიან ცოტა ფული გაიმეტონ მუხრანელებმა და ერთი განათლებული მამასახლისი დაიჭირონ ჯამაგირით. ეხლა ფული ეხარჯებათ, ბევრი უწესოებაც ხდება და იმათის კეთილ-დღეობისათვისკი არავინა ჰფიქრობს, მაშინ, მართალია, ფულს გაიღებენ, მაგრამ პატრონი მაინც ეცოდინება სოფელს. ზნეობითა და გონებითაც ძალიან დაქვეითებულები არიან მუხრანელები. არა მგონია ამდენი ავაზაკობა, კაცის კვლა სხვაგან სადმე ხდებოდეს. გონების გასავარჯიშებლად, მართალია, მუხრანელებს სკოლა აქვთ, რომლისათვისაც ყოველ-წლობით 1,000 მეტი მანათი ეხარჯებათ, მაგრამ სარგებლობა-კი ძალიან ნაკლები მოაქვს: ოთხის წლის განმავლობაში რის წვა და დაგვით სწავლობს აქაურს სკოლაში ბავშვი წერა-კითხვას და ანგარიშს. მერე გუთანს უბრუნდება და ისევ ავიწყდება ნასწავლი. ბევრი ვიცი აქაურს სკოლაში სწავლა დამთავრებული, რომელნიც ხელის მოწერას ძლივს ახერხებენ. აქაურების სკოლა დუქნებია, აქ ატარებენ თავიანთ თავისუფალს დროს და აქვე მიაქვთ თავიანთი შრომა. ამ შემთხვევაში მუხრანელებისათვის ზიარებასავით მისწრება იქმნება იმისთანა კაცი, რომელსაც ფასი ეცოდინება განათლებისა და წიგნებისა და ხალხს წიგნთ-საცავს გაუმართავს.

მუხრანში მოვიდა განგებ შემდგარი კომისია, რომელსაც აზრადა აქვს იპოვნოს თ. ლევან მუხრანსკის ძნის დამწველი. კომისიამ მთელი მუხრანის გლეხობა დაიბარა, და სთხოვა, რომ გამოეცხადებინათ ვინ არის ამ საქმის ჩამდენი, ჩვენ არა ვიცით-რა და არც ჩვენი საქმეაო, უთხრეს გლეხებმა, ან ის მაინც გვიჩვენეთ, ვინც სოფელში უფრო ავაზაკი და ბოროტმოქმედიაო, რომ თავიდგან მოვაშოროთო. გლეხებმა უპასუხეს, რომ ქურდობა და ყველა ავაზაკობა ბატონების ბიჭებისაგან ხდებაო; ამ ძნას იმისთანა კაცი დასწვავდა, რომელსაც რამე შურის ძიება ექმნებოდა ძნის პატრონთან, აქ მთელი სოფელი რა შუაშია! ეხლა კომისია შეუდგა ამ ძნის დაფასებას. პატრონები თითონ 20 ათას მანათად აფასებენ. დიდი უსამართლობა-კი იქმნება, რომ ეს ზარალი სოფელს წააკისრონ. თითქმის ამოდენავე ძნა დაეწვა ამ რამდენისამე წლის წინად თ. ივანე კ—ძე მუხრან-ბატონს, მაშ ეს ზარალიც უნდა დააკისრონ, რადგანაც დამწველი დღესაც ვერ აღმოუჩენიათ. მაშინ სოფელს თავს დაატყდება თითქმის 40,000 მ. გადახდა! სოფელს ზარალად ისიც ეყოფა, რომ ამოდენა ჩაფრები თავიანთის ცხენებით, რომელნიც კომისიას ახლავან თან, სოფელს გაუხდა შესანახად.

მუხრანელი

## რუსეთი

უკანასკნელ ხანებში პეტერბურგში ხშირად მოდიოდნენ ხოლმე სხვა-და-სხვა ქალაქებისა და ერობათა მიერ გამოგზავნილი დეპუტაციები სხვა-და-სხვა საჭიროების შესახებ და ჩვეულებრივის წესით, ესე იგი ადგილობრივ გუბერნატორის შუამდგომლობას, რწმუნებულთაგან პირადათ თხოვნას ამჯობინებდნენ იმ აზრით, რომ საქმე ჩქარა გადასწყდებოდა და საქმეც უფრო ადვილად შესრულდებოდა. მაგრამ ამ გვარი დეპუტაციების გაგზავნისათვის და პეტერბურგში საცხოვრებლად, ძალიან ბევრი ფული იხარჯებოდა. ამის გამო ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, გამოვიდა განკარგულება, რომლის ძალითაც დეპუტაციები პეტერბურგში გაიგზავნებიან მხოლოდ ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრის ნებადართვით.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ყოველ ქალაქში ქარის დროს ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ბოჩკები წყალით აავსოს ხოლმე და გამოდგან ქალაქის მოედნებზედ და სხვა უფრო მარჯვე ადგილებზედ, რომელსაც ქალაქის საბჭო ან ადმინისტრაცია ამოარჩევს. ცეცხლის მქრობ მანქანასთან მუდამ მზად უნდა იდგეს მორიგი დარაჯი.

—

პროექტი დედათა სამკურნალო ინსტიტუტისა შემოდგომაზედ წარედგინება სახელმწიფო საბჭოს. პროექტის თანხმად ინსტიტუტი საერო განათლების სამინისტორს უწყებას ექვემდებარება; მოსწავლენი, ინსტიტუტში მიიღებიან 18 წლიდგან 35 წლამდე, რომელთაც გიმნაზიის ატესტატი უნდა ჰქონდეთ. სასწავლო კურსი 4 წელიწადს გაგრძელდება და 2 წელიწადიც პრაქტიკულად მუშაობა. სწავლა დამთავრებულთ ნება ექნებათ ექიმის სახელი ატარონ და ყველგან თავისუფლად იექიმონ, აგრეთვე, როგორც სპეცილისტებს ქალის და ბავშვის ავადმყოფობისა, შეეძლებათ ექიმის ადგილი მიიღონ დედათა სასწავლებელში და საქველ-მოქმედო დაწესებულებაში. გარდა ამისა შეეძლებათ საერო სამკურნალო განყოფილებისა და სასოფლო საავადმყოფოს გამგებლად დაინიშნონ, მხოლოდ სახელმწიფო სამსახურად არ ჩაეთვლებათ.

## უცხოეთი

**ინგლისის** გაზეთები იუწყებიან, რომ სულ მოკლე ხანში ინგლისის პოლიცია სიას შეადგენს ინგლისში მყოფ ანარქისტებისას. ვინც უფრო საშიშია, ინგლისიდგან განდევნიან.

—

რომის პოლიცია თითქმის ყოველ დღე სახლების კედლებზედ კითხულობს შემდეგს წარწერას „გაუმარჯოს ანარქიას, გაუმარჯოს კაზერიოს“. ნეაპოლში ორი კაცი დააპატიმრეს, რომლებიც ამ სიტყვებს სწერდნენ კედლებზედ; სახლები გაუჩხრიკეს და წერილები უპოვნეს, რომლებიდგანაც სჩანს, რომ ანარქისტებს შეთქმულობა ჰქონიათ საფრანგეთის საელჩო აეფეთქებინათ. იტალიის ყველა ქალაქებში საფრანგეთის საელჩოებს მეტის ყურადღებით უდარაჯებენ.

ქალაქ მატტა-ვისკონტის (კაზერიოს სამშობლო) მოურავს კაზერიოს დასჯის შემდეგ ათი წერილი მისვლია. გენუიდგან მოწერილ წერილში სწერია, 150 ანარქისტი იმ დრომდე არ მოისვენებენ, ვიდრე კაზერიოს სიკვდილს სამ კაცს არ გადუხდით და არ მოვკლავთო.

—

ჩიკაგოდგან დეპეშით იუწყებიან. რომ ადგილობრივმა პოლიციამ იპოვნა სამი ჯოჯოხეთის მანქანა, რომლებიც ევროპაში გამოსაგზავნად ყოფილა დამზადებული. თუმცა სასტიკი გამოძიება მოახდინეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა აღმოუჩენიათ-რა. შეერთებულ შტატებში ყოველ გვარ ღონისძიებასა ხმარობენ, ამ-

---

რდა მასწავლებლისათვის ევნო როგორმე, გაეძევებინა სოფლიდგან და მით გაეფართოვებინა თავისი სათარეშო მოედანი, მაგრამ როგორც ამ გვარ საქმეებში გამოცდილი და დახელოვნებული კაცი, სცდილობდა თავის წადილის აღსასრულებელ იარიღად სხვა გამოეყენებინა.

— ხალხნო, ახალი მღვდელი უნდა მოგვივიდეთ და დასახვედრად რატომ არ მოემზადებით? შეეკითხა ეშმაკურის ღიმილით ნიკო.

— აბა, რა ვიცით, შენიჭირიმე! როგორღა უნდა მოვემზადოთ. რატომ არ შეგვატყობინებს, როდის მობრძანდება; ინქება ის იგეთ დროს მობრძანდეს, რომ ჩვენ სულ ვენახებსა და მინდვრებში ვიყვენთ დაქსაქსულნი.

— თქვენ იცით, სთქვა ნიკომ და სოსია მიიწვია ცალკე.

ნიკოს სიტყვები საკმაო იყო, რომ ხალხში მღვდლის შესახებ ლაპარაკი აეტეხნა. ზოგი აქებდა მღვდელს, თუმცა ჯერ არც-კი დაენახათ; და თუ ჰკითხავდა ვინმე მაქებრებს, საიდგან იცითო, ისინი ნიკო ორგულაძეზე მიუთითებდნენ. ამ ლაპარაკში მასწავლებელიც გაიხსენეს.

— ვენაცვალე იმის გამჩენს, აბა სოფლისთვის სასარგებლო კაცი ის არის, აი! იძახოდნენ ზოგიერთნი მასწავლებელის შესახებ.

— ნეტავი, თქვენი სიცოცხლით, მღვდელიც მაგითანა გულკეთილი მოგვივიდეს; მაშინ ხომ ავშენდებით, სთქვა წელში მოხრილმა ბერი კაცმა.

— ეჰ, ძმაო, აბა ახლა მღვდელი ნახეთ! ანგელოზია თურმე, ანგელოზი. აბა რა არის თქვენი მასწავლებელი! რაც თურმე მღვდელს ფეხილში ჰკუა აქვს, ის მასწავლებელს თავშიაც არა აქვს. მაგ რა გგონიათ, აგიქინიათ მასწავლებელი და მასწავლებელი; თუ მკითხავთ, პირველი მტერი ეგ არის სოფლისა, წაილაპარაკა თავდიდა მწერალმა.

— ცოდვაა, ცოდვა, ნუ ლაპარაკობ მაგას მასწავლებელზედ. ან ღვთისა გეშინოდეს, ან კაცისა გრცხვენოდეს... მიუგო, ჯოხის მიწაზედ დარტყმით, წელში მოხრილმა ბერი კაცმა.

მწერალს ხუთმა თუ ექვსმა მხარი დაუჭირა, ზოგნი-კი მასწავლებელს ჰლოცავდნენ და მწერალს ამტყუნებდნენ... ზოგიც მარტო თავს იფხანდა და ხმას არ იღებდა...

— ახლა, კაცო, ე მასწავლებელი გდია თუ რაღაცა ოხრობა, რატომ თავისთვის არ დადგება? რატომ ყურადღებას არ მიაქცევთ? შეეკითხა ნიკო სოსიას, როცა კარგა მანძილზედ დაჰშორდნენ ხალხს.

— რა არის, რა ამბავია? ხომ კიდევ არ იკბინება? შეეკითხა დაღვრემით სოსია.

— იკმინება-კი არა, მეტსაცა სჩადის. კაცო, უნდა მაგას მოუხერხოთ რამე, თორემ ბოლოებს კლდეზედ გადაგვიყრის. სოფელი ხომ გარყვნა და გარყვნა: შენი არ იყოს! რა დაუშავე, ლუკმას უჭამდი, თუ რა ამბავი იყო რომ სოფელი «აგიბუნტა» და მამასახლისობიდგან გამოგაცვლევინა?

— კარგი, კარგი, ნუღარ მომაგონებ, თორემ, ღვთის მადლმა, წავალ და ამ საათში დავარჩობ... ახ, ერთი მომახელებინა სადმე, ნახამდი, რა დღეს დავაყრიდი.

— სოსი, ყური დამიგდე. მე რომ მასწავლებლის ჯავრი ამოგაყრევინო, რას მეტყვი? შეეკითხა ეშმაკურის ღიმილით ნიკო.

— რას გეტყვი? დიდს მადლობას... არა, მადლობას-კი არა, შენი ჭირიმე, მეტსაც... რას მიბრძანებ, ოღონდ მაგის ცოლშვილი დაწიოკებული მაჩვენე და თუნდა ყმად დაგისახლდეგი.

— არა, მე შენი ყმობა არ მინდა. მე შენთვის გული შემტკივა და იმისთვის გელაპარაკები...

— მადლობელი ვარ, შენი ჭირიმე, მადლობელი..

— მოიცა. აი, სოსი, რა გითხრა. მარტო მე და შენ მასწავლებელს ვერაფერს დავაკლებთ, თუ თითონ მთელმა სოფელმა არ მოინდომა მაგის გაძევება; მართალი უნდა სთქვას კაცმა, მასწავლებელი უყვარუ... აი ეხლა რა გირჩიო... მეტი ღონე არ არის, ამ საშუალებას უნდა დავადგეთ... მაგრამ წამოდი... აქ ყური არ დაგვიგდონ... სოსია და ნიკო გზისკენ გაემართნენ...

— კარგად იცი, სოსი, ეხლა ახალი მღვდელი უნდა მოგვივიდეს. მე გირჩევ და არ ვიცი, მიიღებ თუ არა ჩემს რჩევას, ეგ შენ იცი. ჰო თუ გინდა ჯავრის ამოყრა... აქ ნიკომ ხმას უფრო დაუდაბლა, ეცადე და მეც შეგეწევი, მღვდელი და მასწავლებელი ერთმანეთს გადავკიდოთ. . . უეჭველია, ხალხს მღვდელი მიიმხრობს და მასწავლებელს გააძევებინებს.

— მოიცა, კაცო-და, როგორ გადავკიდოთ; რა მოვიგონოთ... მასწავლებელს სოფელთან არა დაუშავებია-რა?

— ეჰ, მაშ გშინებია. შე კაი კაცო, იმას ვერ იტყვი, რომ ბავშვებს გვირყვნის, რომ ცუდს ელაპარაკება. რასა ლაპარაკობ, კაცო, ისეც ი ამბები გამოვხანხლოთ, რომ მღვდელი და მასწავლებელი ერთმანეთს ძაღლ და კატასავით გადავკიდოთ.

სოსია დაფიქრებული მიდიოდა.

— ჰა, რას გაჩუმებულხარ, სოსია? არ მოგწონს ეს რჩევა?

— რა ვიცი, როგორღაც მეძნელება. ცოდვას ჩავიდენთ, შენი ჭირიმე!

— ჰაი, შე მხდალო! შე კაი კაცო, ლუკმა წაგართვა, სოფელში თავი მოგჭრა, მთელი დუნია დაგცინის: ტახტზედ შესვეს, გასუქდაო, ლაფში ჩააგდეს, გაცუდდაო და შენ კიდევ აბდა-უბდას სჩმახავ? ვაიმე, ვაიმე... არ მეგონა... მაგრამ, მე რა, შენ იცი და შენმა მასწავლებელმა. აბა, ძალის როგორ დაგატან... ნახვამდის... მე აქ ცოტა რამ საქმე მაქვს. ნიკო გატრიალდა გზისკენ.

კარგად მოიფიქრე, სოსი, თუ გინდა მამასახლისობა ჩაგივარდეს ხელში.

სოსია იდგა რამდენსამე ხანს და ფიქრებული ერთს ალაგას.. შემდეგ ხელი ჩაიქნია და შინისკენ გასწია.

— ეჰ, რაც იქნება, იქნება, წაილაპარაკა სოსიამ და შევიდა სახლში.

II

ნიკო ორგულაძემ ნახა კიდევ რამდენიმე თავისი თანამოზიარე კაცი და იმათაც იგივე რჩევა ჩაუჩედა თავში, რაც სოსიას, ასე რომ თითქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკაში ანარქისტები არ შემოუშვათო.

—

ბოჰემიის ქალაქ ნახოდში დინამიტით გატენილი ყუმბარა იპოვნეს. ჰფიქრობენ, ეს ყუმბარა პილზენში უნდა გადაეტანათ, რადგანაც იქაურმა ანარქისტებმა სთქვეს, ლუდის ქარხანა უნდა ავაფეთქოთო.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ოსკარ კომეტანმა დაჰბეჭდა „Nouvelle Revue“-ში საყურადღებო წერილი შესახებ სიმშილისა, რომელიც მისის სიტყვით „სასტიკი მტერია ადამიანისა“. ავტორი ამბობს: თუ მთელი ქვეყანა მაძღარი არ არის, ამის მიზეზი ისაა, რომ ყველას არა ჰყოფნის დედამიწის მოსავალი. რა არის ამის მიზეზა? დედამიწას შეუძლიან გამოჰკვებოს ექვსი მილიარდი კაცი და ამ ჟამად-კი 1.500,000,000 კაცი ვერ გამოუკვებნია. შემდეგ ავტორი ამბობს, რომ ამის მიზეზი ის არის, რომ დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილიც-კი არ არის კარგად შემუშავებული. ხალხი რიგიანად არ არის დასახლებული დედამიწაზედ და ყველანი ერთს ადგილს ეტანებიან, როგორც მაგალითად ევროპას და დიდ-მალი ადგილი ცალიერი რჩება, რომელსაც ადვილად შეუძლიან მრავალი ხალხი გამოჰკვებოს. დასასრულ კომეტანი სწერს: „ადამიანს მხოლოდ დედამიწის მოსავალი აცხოვრებს. რამდენჯერ გამოთქმულა ესა. მაშ შეკამუშავოდ მიწა იმდენად, რომ საჭმელი ყველას ეყოს. ადამიანი რომ ყველა ადგილებში დასახლდეს, ამით არავინ იზარალებს. პირიქით ყველასთვის კარგი იქნება. მაშინ აღარავინ იტყვის, ომი საჭიროა, რათა ადამიანთა რიცხვი შემცირდესო“.

რა თქმა უნდა, ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე კომეტანის სურვილი განხორციელდება, მაგრამ მის მიერ წარმოთქმული აზრი შეიძლება ოდესმე გამართლდეს. ამერიკის შეერთებული შტატები ოდესმე ტყე მინდორს წარმოადგენდა და ეხლა ადამიანმა იქ გააშენა სახლები, გაიყვანა რკინის გზები, გააშენა საქონელი და ეს ქვეყანა თანდათან მდიდრდება.

---

## გასართობი

—

პარიზში პრეფექტთან მივიდა კარგა ხნის კაცი და უთხრა:

— ჩემი გვარი დუბუა გახლავთ. ოცი წელიწადია, რაც საფრანგეთიდგან წაველ ამერიკაში და იქ გავმდიდრდი. დასამტკიცებლად შეგიძლიანთ ეს ქაღალდები გასინჯოთ. პრეფექტმა ქაღალდები ჩამოართვა და აღმოჩნდა, რომ ამ კაცს ხუთი მილიონის კრედიტი როტშილდის ბანკში ჰქონია და ხუთიც მერინგის ბანკში.

— ოცის წლის წინადო — განაგრძო მდიდარმა კაცმა — ნოქრად ვიყავი პარიზში, მყავდა ცოლი და პატარა ქალიშვილი. ცოლს რაღაც უბრალო საქმეზედ წავეჩხუბე და შემთხვევით ვიდაც ემიგრანტებს გავყევი ამერიკაში. იქ გავმდიდრდი და დავბრუნდი ჩემს სამშობლოში. ეხლა მსურს ჩემი ცოლი და შვილი ვიპოვნო, ან იმათი ამბავი შევიტყო. ვინც იმათ მიპოვნის, კარგს ჯილდოს მიიღებს.

— მაგას ჟანიკას მეტი ვერავინ მოასერხებს, მაგაზედ კარგი ჩუმა მაძებელი არა მყავს. დაუძახეს ჟანიკას, დაავალეს ამ მდიდარ კაცის ცოლ-შვილის პოვნა და ერთის თვის ვადა მისცეს. დანიშნული დროს ჟანიკა მივიდა და მოკრძალებით სთქვა:

— ვერა ვიპოვნე რა.

— ეგ რას ნიშნავს, ჟანიკ, — წყრომით ჰკითხა პრეფექტმა, მე თქვენ უფრო მოხერხებული კაცი მეგონეთ.

— თუ არ გამიწყრებით, და მაპატიებთ, — უპასუხა ჟანიკამ, — ყველაფერს მოგახსენებთ.

— ჰო, კარგი, სთქვი ჩქარა.

— მე ვიპოვნე ორთავე ქალი... ძლიერ ღარიბათ არიან... დუბუას ქალიშვილი ისეთი ლამაზი ყოფილა...

— მერე?

— მერე და ცოლად შევირთე... გუშინ დავიწერე ჯვარი...

## წერილი რედაქციის მიმართ

—

მე მინდა მივაქციო დღეს ყურადღება იმ წერილს, რომელიც იყო დაბეჭდილი „ივერიის“ მე-174-ე №-ში საინგილოსა და სამეგრელოში აბრეშუმის მოყვანისა და აღებ-მიცემობის შესახებ. განსაკუთრებით საყურადღებოდ მიმაჩნია ის ადგილი, სადაც ავტორი ამბობს:

„მაგრამ განა მხოლოდ ამ ერთს საგანში ემართება საქართველოს ასეთი თვალ-საჩინო და ყოვლად დაუჯერებელი ზარალი? რამდენი საგანი არის, რომელიც გააქვთ ჩვენის ქვეყნიდან სულ ტყუილ-უბრალოდ, მუქდად და კაცი არ არის აქამდისინ ამდენს ხალხში, რომ საექსპლოტაციო დავარდნილ ერს ქირისუფლად და პატრონად გამოუჩნდეს და ქვეყნის სიმდიდრე ქვეყანასვე მოახმაროს!“

შემდეგ ავტორი განაგრძობს:

„მაგრამ, როდესაც ხალხში იმდენი განათლებული და განვითარებული კაცი მოიპოვება, რაოდენიც დღეს ჩვენშია, რატომ არა გვაქვს უფლება ვსთქვათ, რომ საჭიროა და სავალდებულოც, რომ საქართველოს განათლებულმა თაობამ ცოტა ხალხისკენაც მიიხედოს და სუბუქ და ადვილ საქმეებს თავი დაანებოს, თუ სურს თავისის მოვალეობის გარდახდა სამშობლოს წინაშე.“ „თქმა არ უნდა, სადმე კანცელარიაში თავის შერგვა, ან ყოველ გვარი საჩივრის წერა და ფულების ჯიბეებში ჩალაგება უფრო ადვილი ხელობაა, ვიდრე იმისთანა საქმეების თავის მობმა, რომელიც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, მაგრამ მაშინ ამ რიხსა და ყოყოჩობას, რომელსაც ეს განათლებულნი იჩენენ, თავი დაანებონ მაინც!“

ამ აზრების თანამოზიარე ვიყავ და ვარ არა მხოლოდ ეხლა, არამედ მთელის ჩემის სიცოცხლის განმავლობაში; მაგრამ, საუბედუროდ, ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ ჩვენში განვითარებულნი და განათლებულნი, არა თუ ბევრნი, ვგონებ, ცოტანიც არ მოიპოვებიან. უმეტესად მხოლოდ ცრუ განათლებულები არიან, რომელნიც მარტო ყოყოჩობენ, ორატორობენ, მაგრამ ნამდვილად თავისის თავისა და ჯიბის მეტი არა ახსოვთ-რა. აი ესენი არიან მიზეზნი, რომ ჩვენს ეკონომიურს მდგომარეობას არავითარი საუკეთესო ცვლილება არ ეძლევა. ამის დასამტკიცებლად ამასთანვე წარმოგიდგენთ რამდენსამე საბუთს. ორი წელიწადია მედგრად შევუდექი იმ აზრის გავრცელებას, რომ დიდად სასარგებლოა-მეთქი ელევატორის დაარსება ფოთში ამხანაგობის შემწეობით, რომლის წევრებად უნდა იქმნენ ადგილობრივი ადგილ-მამამულენი. შემდეგ კიდეც ამხანაგობა რამდენიმე სამპატიო კაცისაგან და მთავრობაც ხელს გვიმართავს. მაშ ვინ არიან წინააღმდეგნი? ისევ ის ჩვენი ზოგიერთი ვითომდა განათლებულნი...

იმედი მაქვს ამ შემთხვევაში „ივერიის“ რედაქცია მაინც მიაქცევს ყურადღებას ჩემ მიერ დაბეჭდილ წინასიტყვაობას, ელევატორის ამხანაგობის შესახებ და წარმოსთქვამს თავის აზრს, რამდენად საყურადღებო არის ეს საქმე ჩვენის ქვეყნისათვის. სხვათა მიზეზთა შორის, რომელიც უშლის ჩვენის ქვეყნის ეკონომიურს წარმატებას, ჩაითვლება აგრეთვე შემდეგი:

ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებთ შეადგენს ორი წოდება: თავად-აზნაურობა და გლეხობა. არც ერთს ამ წოდებას არა აქვს შეძლება შეერთებულის ძალით მოჰკიდოს ხელი მრეწველობასა და მადნების შემუშავებას; ჩვენი მემამულენი აქამდე გლეხების შრომით სარგებლობდნენ, თითონ შეუჩვეველნი არიან შრომასა და ჯაფას და იშვიათად თუ შეხვდებით ისეთს მემამულეს, რომელმაც ცოტათი მაინც იცოდეს აწინდელის ვაჭრობისა და მრეწველობის უმთავრესი მოთხოვნილებანი. ის მცირე შემოსავალი, რომელსაც აძლევს მას პირვანდელის წესით და რიგით შემუშავებული მამული, თვით მემამულესაც არა ჰყოფნის, რადგანაც თანდათან ემატება ათას გვარი ხარჯი და სხვა-და-სხვა გვარი მოთხოვნილება. კავკასიის ვაჭარნი, საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდგან ე. ი. 70 წელზედ მეტის ხნის განმავლობაში, მაიჩვივნენ ძლიერ ადვილად და უშრომოთ ფულის მოგებას სხვა-და-სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა „ფოდრადების“ შემწეობით და ამ დაწესებულებათა მოხელეების შემწეობისა და წყალობით. მაგრამ ამ უკანასკნელის 10 წლის განმავლობაში ჩვენმა ვაჭრებმა გულ ხელი დაიკრიფეს და მოსვენებას მისცეს თავი, რადგანაც სახელმწიფო სხვა და სხვა დაწესებულებათ შეიტყეს რა დაწვრილებით ყოველივე პირობანი ადგილობრივის წეს-წყობილებისა, ეხლა დიდ'ს „ფოდრადებს“ აღარ აძლევენ ჩვენს ვაჭრებს და თითქმის ყოველისავე საქმის ასრულებას საკუთარ მცოდნე მოხელეთ აბარებენ.

ამ გვარად სახელმწიფო დაწესებულებათა იჯარადარით, რომელთაც ნეტარ-ხსენებულ დროს დიდი ფული შეიძინეს, ეხლა ზოგმა ბანკების საქმეებს მოჰკიდა ხელი და ზოგმა-კი შეისყიდა სხვა-და-სხვა გვარი გირავნობის ფურცლები და სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები და ერთად-ერთ შრომად ამ ქაღალდების კუპონების ამოჭრა და ამ კუპონებით სარგებლის მიღება-ღა მიაჩნიათ. ფულის პატრონთა უმეტესს ნაწილს დიდის სარგებლით ფული აქვს გასესხებული. ფულს მხოლოდ იმას აძლევენ, ვინც უძრავს ან მოძრავს მამულს მისცემს გირაოდ და დიდს „ნეუსტოიკას“ მოაწერს ხელსა. იშვიათად შეხვდებით ისეთს ვაჭრებს, რომელთაც ფული და შრომა შაერთონ და მრეწველობას მოჰკიდონ ხელი. ფულის პატრონთა უმეტესი ნაწილი არც ერთს საქმეს არა ჰკიდებს ხელსა, ამიტომ რომ მრეწველობისა არა გაეგებათ-რა და სხვის ჭკუასა და უნარსკი სრულიად არ ენდობიან.

კავკასიის საადგილ-მამულო ბანკებმაკი, — რომლის დაარსებასაც საკეთილო საგანი ჰქონდა აზრად, მემამულეთათვის შემწეობა აღმოეჩინა და მრეწველობის გაძლიერებისათვის საშუალება მიეცა, — ამ ბანკებმა პირიქით ზარალის მეტი არა მოუტანა-რა მემამულეთ და რაც გიგბადათ, ისიც ხელიდგან გამოაცალა.

ჩვენს ქვეყანაში დაარსებულმა სხვა-და-სხვა გვარ სამეცნიერო საზოგადოებამ აქამდე ჯერ არავითარი შესამჩნევი სარგებლობა არ მოუტანა ხალხსა, რადგანაც ამ სხვა-და-სხვა საზოგადოებას ჯერ არა აქვს შესწავლილი ჩვენის ქვეყნის ნამდვილი მოთხოვნილებანი. სატეხნიკო სწავლა და სპეციალური განვითარება არა ვის არა აქვს, და თუ აქვს ვისმე, ამ გვარი კაცები სამსახურში შედიან და ყველა საქმეს გადაწყვეტილის ჯამაგირის მიღებას ამჯობინებენ.

მრეწველობისთვის არავინა ზრუნავს, რადგანაც ამ საქმისათვის საჭიროა ფული, დრო და გამუდმებული, მედგარი შრომა, რომელსაც, სამწუხაროდ, იშვიათად წინ ელობებიან და აფერხებენ კიდეც ყოვლად უნიჭო და შურიანი კაცები.

ჩვენის ქვეყნის მემამულეთა აქვთ: ხელუხლებელი ტყეები, მადნები, ბაღები, ვენახები, ჩინებული სახნავ-სათესი და მოსავლიანი ადგილები, სადაც ყოველგვარი მცენარე ხარობს, სიმინდიდგან დაწყებული ჩაის ბუჩქამდე, მაგრამ, სწორედ რომ სთქვას კაცმა, ჩვენის ქვეყნის კეთილ-დღეობას ძლიერ ბევრი რამ აკ-

---

ათამდის კაცი მიიმხრო თავის წადილის აღსასრულებლად. საღამოს ნიკო დაღლილ-დაქანცული შინ დაბრუნდა, მაგრამ დაღალვას ყურადღებას არც-კი აქცევდა... უხაროდა, რომ საქმეს სასურველი საფუძველი დაუდო და ეს-კი საკმაო იყო მისთვის; იგი სრულიად კმაყოფილი იყო თავის მოქმედებით. მოუჯდა სამხარს, პირჯვარი გადიწერა, „ღმერთო, ხელი მომიმართეო“, წაიდუდუნა და გულიანად მიაძლა.

ნიკოსაგან შეგულიანებულებმა-კი მიიმხრეს კიდევ რამდენიმე კაცი მასწავლებლის წინააღმდეგ, ასე რომ მთელი სოფელი ორ დასად გაიყო: ნიკოს დასი, რომლის რიცხვი ძალიან ცოტა იყო, ამტკიცებდა მასწავლებლის უვარგისობას, იმის ურწმუნოებასა და ცუდ გავლენას სოფელსა და ბავშვებზედ. მეორე დასი-კი ამტკიცებდა წინააღმდეგს, რომ მასწავლებელი სოფლისათვის სასარგებლო კაციაო და ბავშვებსაც კარგსა და პატიოსანს გზაზედ აყენებსო.

აი, ღვდელიც მოვიდა. იგი ახალგაზდა იყო, გამხდარ-გამხდარი; ჩაღრმავებული თვალები და წვრილი ტუჩები ჰქონდა; წესებს მტკიცედ ასრულებდა და ხასიათიც მკაცრი ჰქონდა. მღვდელს ხასიათის სიმკაცრის ხმა გაუვარდა სოფელში; ამიტომ ბევრი სცდილობდა ღვდელი პირველადვე თავისკენ მიემხრო: ემსახურებოდნენ, უამბობდნენ სოფლის ამბავს, გარემოებას და სხვა-და-სხვას. მასწავლებლის წინააღმდეგ შეთქმულთ ნიკოს იმედსაც-კი გადააჭარბეს: უამბეს მასწავლებლის ამბები, ბევრი ცილი დასწამეს და ამასთანავე გააფრთხილეს: მასწავლებელს ერიდეთ, ძალიან უმსგავსი კაციაო, ურწმუნოა და სხვა. თუმცა მღვდელს ჯერ თვალით არც-კი დაენახა მასწავლებელი, მაგრამ იგი ისეთ მახინჯ, ისეთ ბოროტ ადამიანად მიაჩნდა, რომლის მსგავსება მასწავლებელს სულ არა ჰქონდა. მღვდელს წინათვე შესძაგდა, თითქო მათ შუა უკმაყოფილება რამ ჩამოვარდნილიყოს. მიზეზიც ეს იყო, რომ მღვდელი მასწავლებელს ცივად დაუხვდა, გულგრილად მიიღო. მასწავლებელს ეწყინა და გაჯავრებული დაბრუნდა სახლში. აი აქედგან დაიწყო მათ შორის უთანხმოება. შეთქმულებმა შეიტყვეს ეს და ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ მათ შორის სიძულილის ნაპერწკალი გაეღვივებინათ. ბევრს რასმეს ალაპარაკებდნენ ბავშვებს და მღვდელთან ამბავი მიჰქონდათ; მომეტებულს კი თითონ იგონებდნენ და მოსწავლე ბავშვებს აბრალებდნენ.

— მაშ მართალი არ არის? ეს არ გასწავლათ მასწავლებელმა?

ბავშვი, რასაკვირველია, მალე შეიძლება დაიყოლიოს კაცმა და მართლაც მოსწავლენი მზად იყვნენ დაემოწმებინათ ის, რაც თავის დღეში არც-კი გაეგონათ. მასწავლებელმა იცოდა, რომ ყველა გაკვეთილზედ ნათქვამ წინადადების გამო პასუხის გება მოუხდებოდა; რომ მომეტებული ნაწილი ბავშვებისა იმის მტრები იყვნენ; ყურს უგდებდნენ, თვალს ადევნებდნენ იმის ნათქვამს და შემდეგ ერთი-ორად ქცეულს უამბობდნენ თავის დედ-მამას... ეს სწყინდა მასწავლებელს და გულ-ნატკენ ხანდა ხან ისეთი სიტყვა წამოსცდებოდა, რომლის თქმა ფიქრადაც არ მოუვიდოდა სხვა დროსა... მასწავლებლის ორი შვილიც სწავლობდა ამ სასწავლებელში და ვინ იცის, რას არ ითმენდნენ ბავშვები სხვასაგან...

— მამა შენი ესეთია...

სამღრთო წერილის გაკვეთილი, რომელსაც მღვდელი უკითხავდათ, ორივე მასწავლებლის შვილებისთვის წამება იყო; იმიტომ კი არა, ვითომ მღვდელი უსამართლოდ მოეპყრობოდა; არა. მღვდელი სხვანაირ თვალით უყურებდა, არც აქებდა და არც სტუქსავდა. გაკვეთილსაც იშვიათად ჰკითხავდა და როცა წამოაყენებდა, შუბლშეჭმუხვნით დაუწყებდა ხოლმე ყურებას, ასე რომ მასწავლებლის უმცროსს ქალს ხან და ხან შიშისაგან ტირილი ყელში ებჯინებოდა.

უფროსმა ვაჟმა მასწავლებლისამ უარი განაცხადა დედ-მამასთან, მე აღარ ვივლი საღმთო წერილის გაკვეთილზედო, მაგრამ დედის თხოვნამ და ცრემლებმა დააშოშმინეს გაჯავრებული ბავშვი.

შეხვედრის დროს მასწავლებელი და მღვდელი ერთმანეთ სალამს არ აძლევდნენ. მასწავლებელი ჰგრძნობდა, რომ მღვდელი პირველად იმისგან მოელოდდა სალამს, ამიტომაც არ უნდოდა დაეკმაყოფილებინა მისი ამპარტავანი სურვილი. როდესაც სხვა ბავშვები ხელზედ სამთხვევად მიდიოდნენ მღვდელთან, მასწავლებლის შვილები იდგნენ შორიახლოს და ამპარტავნად შუბლ შეკრულნი შეჰყურებდნენ მოძღვარს, მასწავლებლის ცოლი-კი ერთხელაც არ დაჰკლებია წირვა-ლოცვას.

— მე რა საქმე მაქვს მღვდელთან, ეუბნებოდა თავის ქმარს, მე მივდივარ ღვთის სახლში; ეკკლესია რა შუაშია, თქვენ რომ უკმაყოფილონი იყვნეთ.

მასწავლებელი თითონაც დადიოდა იკკლესიაში. მხოლოდ, როდესაც მღვდელი ქადაგებას დაიწყებდა ხოლმე, მასწავლებელი დაუჭერდა ხელს თავის შვილს ვანოს და მძიმე ნაბიჯით გადიოდა. ეკკლესიიდგან მთელი ხალხი იმათ ადევნებდა თვალს.

რა ლაპარაკი არ იყო მღვდელისა და მასწავლებლის შესახებ ჯერ საქმიან დღეებში და ახლა დღესასწაულების დროს. სხვა-და-სხვა ამბავი დადიოდა ხალხში და ამ გვარად მთელს სოფელს ეფინებოდა.

— მამაო მღვდელო, გაიგონეთ რა სთქვა თქვენზედ მასწავლებელმა? ეუბნებოდა მღვდელს თუ სოსია არა, იმის თანა მოაზრე მაინც და თან ისეთს ამბავს ეტყოდა, რომელიც მასწავლებელს ფიქრადაც არ მოუვიდოდა.

— ბატონო მასწავლებელო! ეგ ღვდელი რას გადაგეკიდა; რატომ თავს არ დაგანებებს... მიკვირს, როგორ ითმენ და სხ.

ამ გვარად უკმაყოფილება და სიძულვილი თან და თან ფეხს იკიდებდა და რაც ხანი გადიოდა, მასწავლებელს მეგობრები აკლდებოდა და მღვდელს ემატებოდა.

ნიკო ორგულაძე ჰხედავდა ამას კარგად, მაგრამ მაინც კმაყოფილი არ იყო. მას ჰსურდა საქმე მალე დაგვირგვინებულიყო მასწავლებლის სოფლიდგან გაძევებით, მაგრამ, როგორც საქმიდგანა სჩანდა, ეს ძლიერ გვიან მოხდებოდა, ნიკოს-კი ეჩქარებოდა... და დააჩქარა კიდეც.

(დასასრული იქნება)

ლია; ეს აშკარად ამტკიცებს იმ ჭეშმარიტებას, რომ თვით ბუნების სიმდიდრე გროშადაც არა ჰღირს, თუ ადამიანს არა აქვს ცოდნა და ფული და შრომას არ ჰზოგავს მამულის შემუშავებისთვის.

მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებისთვის საჭიროა შეიკრიბნენ ფულის პატრონნი და მცოდნე კაცები და საქმე ისე მოაწყონ, რომ ერთსაცა და მეორესაც იმედი ჰქონდეს, რომ ფული და შრომა სარგებელს მოიტანს. მხოლოდ ამ სახით შეიძლება გავაძევოთ ჩვენის ქვეყნიდგან უცხოეთიდგან მოსული ფულის პატრონნი.

ეს ჩემგან გამოთქმული აზრი იმედი მაქვს საკმაოდ დაარწმუნებს „ივერიის“ მკითხველთ, რომ თუ ჩვენის საზოგადოების საუკეთესო მემამულენი მიიღებენ ამ საქმეში მონაწილეობას, ადვილად შეიძლება განხორციელდეს ჩვენში ყოველ გვარი სასარგებლო ამხანაგობა, მხოლოდ საჭიროა ჭეშმარიტი შრომა, ცოტაოდენი მსხვერპლი და მამულის სიყვარული.

ფოთის სანავთსადგურო საქონლის საწყობ ელევატორის დამაარსებელ ამხანაგობის წარმომადგენელი

თავადი დიმიტრი ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე**, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ.** სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ.** სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ.** სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი **ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ.** სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ.** სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო, 6—7 საათ.** სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.**

**ე. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ.** სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

ხ ა რ კ ო ვ შ ი

„რიგნი“ ქუჩაზედ

გაიმართა ს ა ს ტ უ მ რ ო

„რ უ ფ ა“

დიდად მოხერხებულია, და იაფი.

საუკეთესო სამზარეულო აქვს ხარკოვში.

სასტუმროსთან არის გამართული უმთავრესი საწყობი რიგას ლუდის ქარხანის „ვალდშლიოსხენისა“.

ლუდი იგზავნება ყველა ქალაქში. 10—4 (გ. 17)

დაზღვევის საზოგადოება

„იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—40)

საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

„ურბენი“ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებსვადიან გარდასახადისაგან და პოლის ს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი აზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასო გაეგზანებათ.

(40—1061—15)

Maison HERMANN-LACHAPELLE, J. BOULET & C-ie, SUCC-rs
31 et 33 Rue Boinod, პარიჟი.

4 ოქროს მედალი აქვს მიღებული, 1889 წ. მსოფლიო გამოფენისა, ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წელს.

**ხელობადა აქვს ორთქლის მაშინების კეთება.**

| განიერი ნახვრად მოძრავი | მაღალი ნახვრად მოძრავი | მოგრძო უძრავი |
|---|---|---|
| ორთქლის ქვაბები, რომელსაც ბოლისათვის მიხვეულ-მოხვეული ასავალი აქვს, ორის ცილინდრით, 4-დგან 100 ცხენის ძალით. | 1-დგან 100 ცხენის ძალით. | 1 ანუ 2 ცილინდრით 3-დგან 250 ცხენის ძალით |




ორთქლის მაშინები ელექტრონის სინათლის დასადგენად.

პრეის-კურანტები უსასყიდლოდ იგზავნება.

(6—31—3)




ვერცხლისა




ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




## ქარხან.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

## ა. ა. თუთაევისა

ტფილისში, იარმუკაზედ.

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ხორდოსფრათ, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთვნის; ალექსანდრე მუნთოევის სახლის კრიშა მწვანე ფერად-ედიანკით, სადაც ობოლთა მზრუნველი სასამართლო იყო; და დიკის ფერად აფჩალის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიპოგრაფიისას.

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყველ გვარას ხელოსნებსაც ვუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—9

ალალო თუთაევი


# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

Дозволено цензурою Тифлисъ, 18-го Августа 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.